## 10 აგვისტო ფიზკულტურელის საკავშირო დღეა

# გაუმარჯოს საბჭოთა ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა სახელოვან არმიას!

ეროვნული ბიბლიოთეკა









პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 157 (5187)

1974 წ. 10 აგვისტო, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან


## ჯ ი ლ დ ო დამსახურებისთვის

ფიზიკური კულტურის პროპაგანდის მიზნით გაწეული ნაყოფიერი მუშაობისთვის, ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაში დიდი დამსახურებისთვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გაზეთი „სოვეტსკი სპორტი" შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა.

8 აგვისტოს მოსკოვში მოეწყო საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა გაზეთის დაარსების 50 წლისთავს და მისთვის ორდენის გადაცემას.

სხდომის მონაწილეებმა ერთსულოვნად აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ბრეჟნევის მეთაურობით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. იასნოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით გულითადად მიულოცა გაზეთის ყველა მუშაკს სახელოვანი იუბილე და მთავრობის დიდი ჯილდო. მან წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება და შეკრებილთა ტაშის გრიალში ორდენი გაზეთის დროშაზე დაამაგრა.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა „სოვეტსკი სპორტის" მთავარი რედაქტორი ნ. კისელიოვი.

საზეიმო შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

## სანამ გემი ნავსადგურში დგას...

ვლადივოსტოკი, 8 აგვისტო. ლოს-ანჯელესში გამართულ საერთაშორისო სპორტულ კვირეულში დიდი წარმატება მოიპოვეს შორეული აღმოსავლეთის სანაოსნო თბომავალ „ალექსანდრე ვერმიშევის" მეზღვაურებმა. მათ დაისაკუთრეს მთავარი პრიზი — „დიდი თასი" და პირველობა არავის დაუთმეს ესტაფეტაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა ნორვეგიის, ინდოეთის, ლიბერიის, გფრ-ის, ინგლისის, კოლუმბიის, სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების გემების 17 ეკიპაჟის 137 მეზღვაური. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 100 მეტრზე რბენაში, ბირთვის კვრაში, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში, 4×100 მეტრზე ესტაფეტაში. სპორტული კვირეულის გმირი იყო პირველი კლასის მატროსი ვ. სმორჩკოვი, რომელმაც თითქმის ყველა სახეობაში საპრიზო ადგილები დაიკავა და მრავალჭიდის ჯამში გაიმარჯვა.

სპორტი მეზღვაურთა ერთგული დამხმარეა რთული რეისების დროს. შორეული აღმოსავლეთის სანაოსნოს მეზღვაურთა შორის სისტემატურად ეწყობა ხომალდების სპარტაკიადები. ფიზკულტურელის დღისთვის ნახოდკაში მეზღვაურთა საერთაშორისო სპორტული კვირეული ტარდება.

## რეკორდები

მოსკოვი, 7 აგვისტო. საწყლოსნო სპორტის ადგილობრივი ოლიმპიური ცენტრის ღია აუზში მოსკოველმა შ. კამალოვმა დღეს საკავშირო რეკორდი დაამყარა გულაღმა ცურვაში — 2.11,08.

სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატთა ამ შეჯიბრებაში სხვა მაღალი შედეგებიც იქნა ნაჩვენები: ა. ვეტუშენკო (ლენინგრადი) — 200 მ ბატერფლაით — 2.09,6; ვ. შარიგინი (მოსკოვი) — 100 მ ბატერფლაით — 58,7; ლ. სითმკინა (დონის როსტოვი) — 200 მ თავისუფალი სტილით — 2.10,9.

15 აგვისტოს საბჭოთა კავშირის ნაკრები გაფრინდება ვენაში, სადაც ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებს.

კოპენჰაგენი, 7 აგვისტო. ევროპის ჩემპიონატში მოასპარეზე მსროლელებმა თამამად შეუტიეს მსოფლიო რეკორდებს, რომლებიც, როგორც იცით, მხოლოდ კონტინენტისა და მსოფლიო პირველობებში აღინუსხება. კიეველ ნ. სტოლიაროვას მეგობრობა ალაფრთოვანა მისი თანაგუნდელები და აი, სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა 25 მეტრზე პისტოლეტით შეჯიბრებაში მსოფლიოს გუნდური რეკორდი დაამყარა — 1752 ქულა.

## რეკორდები

● მანილა, 7 აგვისტო. ჭადრაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაში ლენინგრადელმა სტუდენტმა კოჩიევმა წინასწარი შეჯიბრების III ტურში გადადებული პარტია მოუგო შნაიდერს (შვეცია), IV ტურში კი ხენაოს (კოლუმბია) აჯობა. სხვათა შორის, ეს მესანიშნავად მოთამაშე ახალგაზრდა კოლუმბიელი მოჭადრაკის პირველი წაგებაა. კოჩიევს 4 ტურის შემდეგ 3 ქულა აქვს. ამდენივე ქულა დაუგროვდათ ამერიკელ უინსტონს, შნაიდერსა და არგენტინელ გიარდელის (შნაიდერი და გიარდელი მორიგ ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ). წინაა მხოლოდ ინგლისელი მაილსი — 3,5 ქულა.

● კოპენჰაგენი, 7 აგვისტო. საბჭოთა მსროლელმა ი. ლუკოვსკიმ ევროპის ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა იუნიორთა შორის — 50 მეტრზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სროლაში 868 ქულა დააგროვა. გუნდურ ჩათვლაში ამ ვარჯიშში ასევე საბჭოთა მსროლელებმა გაიმარჯვეს — 1100 ქულა.

● ვარნა, 7 აგვისტო. ჭაბუკ ჩოგბურთელთა პრაოფიციალურ გუნდურ მსოფლიო პირველობაში — გალეას თასის გათამაშებაში — საბჭოთა ნაკრებმა III ადგილი დაიკავა, ბრინჯაოს ჯილდოებისთვის ბრძოლაში კი ანგარიშით 4:1 სძლია უნგრელთა კოლექტივს. ასეთივე შედეგით დამთავრდა ჩეხოსლოვაკიისა და ესპანეთის ფინალური მატჩი. გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა, რომელთაც გადაეცათ კიდეც ეს საპატიო პრიზი.

● კიევი, 7 აგვისტო. თანამედროვე ხუთჭიდში იუნიორთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მოსკოველმა ვ. გალავტინმა დიდოსტატური შედეგით აჯობა ყველას — 5284 ქულა. II ადგილზეა რ. რუსმანი (ტალინი) — 5178 ქულა, ხოლო III — ა. პანოვი (ხარკოვი) — 5144. გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო იყო სსრ კავშირის პირველი ნაკრები (გალავტინი, რუსმანი, ლვოველი ს. რეპეტენკო და ბაქოელი ი. კარპოვი) — 15561 ქულა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: სსრ კავშირისა და უკრაინის ორ-ორი ნაკრები კოლექტივი, უნგრეთის, ლატვიისა და ესტონეთის გუნდები. სტარტზე სულ 28 იუნიორი გამოვიდა.






# როცა ზღურბლს გადავაბიჯეთ...

სიჭაბუკე მხოლოდ ერთხელ ეძლევა ადამიანს და ამიტომ მას მუდამ რომანტიული საბურველი მოსავს. ადრეულ სიჭაბუკესთან დამშვიდობებული ადამიანების თავშეყრა მეტწილად სევდითაა შეფერილი. მაგრამ ამ სევდიან ფონს მუდამ თან სდევს გამახალისებელი მაჟორული ნაკადიც. ჩვენ ოჯახები გვაქვს; ჩვენ რაღაც გავაკეთეთ ახლობლებისთვის, მეგობარ-ნაცნობებისთვის, თუ გნებავთ, ქვეყნისთვის; ჩვენ გვიყვარს ჩვენი საქმე არა იმისთვის, რომ რაიმე სარგებელი მივიღოთ, არამედ იმისთვის, რომ ჩვენი დახმარება შეძლებისდაგვარად შევაწიოთ სამშობლოსა და ხალხს, — დაახლოებით ასე ფიქრობს სიჭაბუკეს დამშვიდობებული ადამიანების ნებისმიერი თავყრილობა. ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა ფიქრობდეს.

ყოველივე ეს გამახსენა ორიოდე წლის წინათ შეკრებილმა უპრეტენზიო მეგობარ-ამხანაგების წრემ. მათ ოთხ წელიწადს ესწავლათ ერთად ფიზკულტურის ინსტიტუტის კედლებში. შევყურებდი ჩემს მეგობრებს, მიხაროდა — მათში ერთიც არ ერია ისეთი, თვალი რომ ამერიდებინა. განა იმიტომ, რომ ულირსნი ინსტიტუტის დამთავრების ათი წლის თავზე განგებ არ მოვიწვიეთ, უბრალოდ, „გამოშვება-62“-ში ასეთები არ ყოფილან. და ჩვენს კურსზე, როგორც ფოკუსში, ისე მოიყარა თავი დედა-საქართველოს სხვადასხვა კუთხის მადლმა. ყველას თავისი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი საუბრისა და თავდაჭერის მანერა ჰქონდა, მაგრამ გვაერთიანებდა ენით გამოუთქმელი გამტანობის, სოლიდარობის, სიკეთის გრძნობა.

იცოცხლეთ, ნაკლი ბლომად გვქონდა, მაგრამ ეს სიჭაბუკით გამოწვეული ცოდვები უფრო იყო, ვიდრე ტიპური ნიშანი. ყველანი სპორტსმენები ვიყავით, ზოგიერთნი — ნაკრების წევრებიც, და მაინცდამაინც საჭიროდ არ მიგვაჩნდა თეორიული სპორტული დისციპლინების საფუძვლიანი შესწავლა. ეს ფუფუნებაა, — ხშირად გაიგონებდით ჩვენგან. კარგა ხანმა განვლო, ვიდრე საწინააღმდეგო, ანუ ჩვენთვისაც და საქმისთვისაც სასიკეთო გადაწყვეტილებამდე მივიდოდით, რამდენი რამ დავკარგეთ. მერე, რაღა თქმა უნდა, გონებას მოვეგეთ, მაგრამ დაკარგული მაინც დაკარგულად დარჩა.

ერთი ღვთისნიერი კაცი იყო ჩვენი ფაკულტეტის დეკანი აბო ნემსაძე. კარგი ბიჭები ხართ, მაგრამ ჭკუას მაინცდამაინც ვერ ატანთ ძალას, ხშირად გვეუბნებოდა, — ხალხი სპორტსმენებს ისედაც ალმაცერად უყურებს, მათი ჭკუა-გონებისა დიდად არა სჯერა და, მოდი, ამ შეხედულებას ნუ განუმტკიცებთო. ბოლოს და ბოლოს, სპორტსმენები კი ხართ, მაგრამ ფიზკულტურის პედაგოგების დიპლომიც უნდა აიღოთ, რატომ ამაზე არ ფიქრობთო.

თავის მამაშვილურ რჩევა-დარიგებას საქმიან დახმარებასაც მოაყოლებდა. არ ამოასუნთქებდა ზოგიერთ ყოყლოჩინა სპორტსმენს, ვიდრე სასოწარკვეთილების მომგვრელი მოცულობის ანატომიისა და ფიზიოლოგიის სახელმძღვანელოებს არ გადააკითხებდა. გადაკითხვა რა სათქმელია, კარგადაც შეასწავლიდა და ისე „დააწერინებდა“ ნიშანს. კარგი ბიჭი იყავი და ნუ დაუჯერებდი. ისეთ დღეს დაგაყრიდა, თავ-ბედს გაწყევლინებდა. დიდ პატივს ვცემდით. სწავლითაც თავი არავის „გამოლაყებია“, როგორც მანამდე ზოგიერთ ჩვენგანს ეგონა.

დიპლომები ჩვენმა უსაყვარლესმა რექტორმა საშა ფალავანდიშვილმა გადმოგვცა. ამ კაცისა, მართალი გითხრათ, გვეშინოდა და გვეხათრებოდა კიდეც. ვიცოდით, მის კაბინეტში ცოდვა-შებრალებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო (ეს მაშინ გვეგონა ასე, თორემ მერე მივხვდით, რომ არც ისეთი მკაცრი ყოფილა). მისგან დანდობას არ ველოდით და ასი თავი ვის ჰქონდა, მის ხელში ჩავარდნილიყო. კაბინეტის გარეთ ჩვენს უფროს ამხანაგად და მეგობრად გვეგულებოდა. დღემდე არ მინახავს კაცი, ასე რომ უხდებოდეს ღიმილი. ხშირი წარბებით შემოჯარული თვალები კეთილად გაუბრწყინდებოდა, როცა სტუდენტს ესაუბრებოდა. პედაგოგიური გულისხმიერება-გულკეთილობა მას ჩვენს თვალში განსაკუთრებულ ადამიანად აქცევდა. ბევრი რამითა ვართ მისგან დავალებული. დარწმუნებული ვარ, ინსტიტუტის დამთავრებიდან ათი წლის შემდეგ ასე პირნათლად რომ ვუყურებდით ერთმანეთს, ეს მისი დიდი დამსახურებაცაა. ბევრი იმპროვიზებული ლექცია-საუბარი მოგვისმენია პატივცემული საშასგან და უნდა ითქვას, ეს შეგონებები ხარისხით ყველაზე აკადემიურ ლექციებსაც არ ჩამოუვარდებოდა.

ამ შესანიშნავი ადამიანებისგან და მოქალაქეებისგან, ამ სიტყვებს ხაზგასმით ვამბობ, ვისწავლეთ მთავარი: თუ შენი საქმე არ გიყვარს და არ ძღასებ, ზედმეტია რაიმე პიროვნულ სიამაყესა და ღირსებაზე ლაპარაკი. ჩვენ მწვრთნელების, აღმზრდელების, პედაგოგების ცენზი გვეძლეოდა, რაც უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებდა. ამას ვერავითარი ლექცია ვერ გაგვაგებინებდა ისე სრულყოფილად, როგორც მუდმივი ადამიანური კონტაქტი საყვარელ აღმზრდელებთან. ჩვენ გვინდოდა მომავალში ისეთები ვყოფილიყავით, როგორიც ეს ღვთისნიერი ხალხი იყო. როგორც ხედავთ, მაგალითისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირვებია. გამომშვიდობებისას პატივცემულმა აბომ პირად საუბარში გვითხრა: ახლა თქვენ მარტო სპორტსმენები აღარა ხართ, მასწავლებლად იქეცით. ღმერთმა იცის, ყველაფერი გავაკეთეთ თქვენთვის, რაც შეგვეძლო. ახლა თქვენ იცით და თქვენმა კაცობამ, თქვენ ჩვენი ფიზკულტურის სრულუფლებიანი ელჩები ხართ, მოდი, ჩვენი მომავლის გაჯანსაღების საქმე ყველა სხვა პირად საქმეზე მაღლა დააყენეთო. გახსოვდეთ, ილია ჭავჭავაძეს მარტო თავისთვის არ უთქვამს, აბა, დღეს მე ვის რა ვარგეო. ეს სიტყვები დაიწერეთ გულისფიცარზე და ისე იარეთ სოფელ-ქვეყანაშიო.

ერთი ძველი ნაცნობი შემხვდა. დიდი ხნის უნახავი მყავდა. მითხრა, ღმერთი არ გაგიწყრეს, არ მკითხო, სად ვმუშაობ. ყველა, ვინც მხვდება ჩვენი ბიჭებიდან, პირველად ამას მეკითხებაო. მერედა, რატომ არ უნდა გკითხო, შე დალოცვილო, ახლა იმ ასაკში ვართ, ერთმანეთი ჩვენი საქმით უნდა დავაფასოთ-მეთქი, — მივუგე მე.

ახლა, როცა ჩემს კეთილ მეგობარ თანაკურსელებზე ვფიქრობ, პირველ ყოვლისა მათი „საქმიანი“ პორტრეტი წარმომიდგება: რა გააკეთეს, რით გამოადგნენ ქვეყანას? ყველას ასავალ-დასავალი, რა თქმა უნდა, დაწვრილებით არ ვიცი, მაგრამ ვცდილობ ყოველთვის გავიგო მათი ავ-კარგი. ისე სიტყვამ მოიტანა, თორემ ჭერჭერობით ავისა რა მოგახსენოთ და კარგი კი ხშირად მესმის.

აი, თუნდაც, ჩვენი რევაზ გოშაძე. თავის დროზე ძალიან კარგი მოფარიკავე იყო. ინსტიტუტშიც სხვებისგან გამოირჩეოდა: არავის ეწყინება, თუ ვიტყვი, რომ იმთავითვე ჩვენზე ფიქრიანი, სერიოზული და საქმიანი იყო. აი, ამისგან კარგი მასწავლებელი დადგებაო, ხშირად გაიგონებდით ლექტორებისგან. ისე აგხდენოდეთ ყველა ოცნება, როგორც ჩვენს მასწავლებლებს სიტყვა გაუმართლდათ. რეზომ ათიოდე წლის მანძილზე ჩინებული მწვრთნელის სახელი დაიგდო. მაგრამ მისი მუშაობა ცალმხრივი იქნებოდა, მარტო სპორტსმენებს რომ ზრდიდეს. როცა ამბობენ, გოშაძის მოწაფეაო, გულისხმობენ შრომისმოყვარე, თავაზიან ყმაწვილებს. ბედნიერებაა, როცა კარგ მოქალაქეებს უზრდის მწვრთნელი და ფიზკულტურის მასწავლებელი სამშობლოს, როცა ბევრ სხვა კეთილ თვისებასთან ერთად აღმზრდელს საკმაო ცოდნა-უნარი აქვს უმძიმესი ტვირთის სატარებლად.

გურამ მაჭავარიანმაც რეზოს მსგავსად მწვრთნელის ასპარეზი აირჩია. იგი ჩვენგან დიდი პრინციპულობით გამოირჩეოდა. კეთილი საქმისთვის თავს არ დაზოგავდა, ბოლომდე იბრძოლებდა და მიჰყვებოდა საქმეს, ნახევარ გზაზე კი არ შეჩერდებოდა. ასეთი გვახსოვს იგი სტუდენტობიდან. გამოვესაუბრეთ მის აღზრდილებს და დარწმუნდებით, რომ ჭადრაკის ცოდნის გარდა პედაგოგს მათთვის ბევრი სხვა კარგი თვისებაც გადაუცია.

არც მურთაზ მნათობიშვილს გაუფანტავს უქმად ინსტიტუტში მიღებული ცოდნა, საყვარელი პედაგოგების დანაბარები არ დავიწყნია. თუ წინა საკავშირო სპარტაკიადაში აკადემიური ნიჩბოსნობის ოსტატებმა თავი არ შეირცხვინეს, ამაში გულისხმიერ პედაგოგს, რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელ მნათობიშვილსაც მიუძღვის თვალსაჩინო წვლილი.

დავით კვინიკაძეს, მწიგნობარსა და სასიამოვნო მოსაუბრეს, ბიჭებმა „ერუდიტი“ შეარქვეს. დათო ფეხბურთელი იყო, ციდან ვარსკვლავებს წყვეტდაო, ვერ იტყვი, მაგრამ თავისი საქმე გაგიჟებით უყვარდა. ინსტიტუტის ნაკრებშიც ერთ-ერთი მოწინავე მოთამაშე იყო. დღეს კი რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში მუშაობს და შესაშური ენერგიით ემსახურება საყვარელ საქმეს.

ნოდარ რაზმაძეს ყველა ნიჩბოსნობის მოყვარული იცნობს. იგი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია. ნოდარი ასაკითაც ჩვენზე უფროსი გახლდათ და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მაჭრობის პერიოდი გავლილი ჰქონდა. ნოდარ რაზმაძე ახლა რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელია.

რომელი ერთი თანაკურსელი გავიხსენო, რომლის საქმიანობაზე გიამბოთ? ისინი ბევრნი არიან, ჩვენი ფიზკულტურისა და სპორტის სახელიანი თუ უსახელო გმირები. დიახ, გმირები. ყველა ადამიანი გმირია, პროფესიის მიუხედავად, თუკი სულსა და გულს დებს საქმეში.

მე ტკბილად ვიგონებ ჩემს თანაკურსელებს, ძლიერ, ფიქრიან, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, უკვე სავსებით ჩამოყალიბებულ მოქალაქეებს და ვამაყობ ამით. როცა ჩვენი სპორტი, ჩვენი ფიზკულტურა ერთგვარად ჩამორჩა, ახლა უფრო საჭიროა მათი ქველობა და საქმის სიყვარული, მათი პრინციპულობა და შეუპოვრობაც, რათა კიდევ ათი წლის შემდეგ უფრო თამამად შევხედოთ ერთმანეთს თვალებში.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

# მოწინავე მწველავი, პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე



დინეზა ზარქუა გეგეჭკორის სკოლა-ინტერნატის III კლასის მოსწავლე იყო, როცა ჭადრაკის თამაში დაიწყო. IV კლასიდან იგი რაიონში გოგონათა შორის ყოველ წელიწადს I ადგილს იკავებდა, 1968 წელს ძალა ჭაბუკთა შეჯიბრებაშიც სცადა და IV ადგილზე გავიდა. 1969 წელს დინეზამ „კოლმეურნის“ რესპუბლიკურ პირველობაში 8 შესაძლებლიდან 6 ქულა დააგროვა, რისთვისაც I თანრიგი მიენიჭა.

1972 წელს დ. ზარქუამ წარჩინებით დაამთავრა გეგეჭკორის საშუალო სკოლა-ინტერნატი და კომკავშირული საგზურით მიაშურა მშობლიურ სოფელ სერგიეთის ბედიას სახელობის კოლმეურნეობის ფერმას. პირველ ხანებში ახალგაზრდა სპეციალისტს ხბოები ჩააბარეს მოსავლელად, შემდეგ — მეწველი ძროხები.

შარშან დ. ზარქუამ გეგმა-ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულა: 4 ფურიდან ჩამოწველა 4181 კგ რძე, გამოზარდა 4 ხბო.

ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს გეგმა-ვალდებულება — 4.090 კგ 4 მეწველი ძროხიდან — კვლავ გადაჭარბებით შესრულდა: 22 ივლისისთვის მიღებული იყო 4098 კგ რძე. ესე იგი, დინეზამ წლიური გეგმა შუა ზაფხულშივე შეასრულა.

ბეჯითი მუშაობისთვის კომკავშირელი დ. ზარქუა მიიღეს სკკპ წევრობის კანდიდატად, ფერმაში დაავალეს სააგიტაციო მუშაობა. ამ სამუშაოს დინეზა პირნათლად ასრულებს, ამასთან, ჭადრაკით გატაცება არც ერთი წუთით არ გადასულა მეორე პლანზე. დინეზა თვითონაც ეუფლება ამ თამაშის ხელოვნებას და სხვასაც გადასცემს ცოდნას. სერგიეთის სასოფლო კლუბთან ჩამოყალიბებულია ჭადრაკის წრე, სადაც ამ თამაშის მოყვარულები მართავენ ტურნირებს, ხსნიან ამოცანებსა და ეტიუდებს.

გ. ჯაყელი.
სოფ. სერგიეთი,
გეგეჭკორის რაიონი.

• • •



სურათებზე: დ. ზარქუა ფერმაში; მწველავი გოგონა ავარჯიშებს ჭადრაკის წრის წევრებს, ფერმის გამგეს ბ. ჭილაიას (მარცხნივ), მწველავ მ. სურმავას და შოფერ ვ. მელიავას.

ავტორის ფოტოები.

# მეექვსე გამარჯვება

„სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალურმა სამმართველომ ამჯერად „სპორტლოტოს“ ზონალური სამმართველოების I ჯგუფის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1974 წლის II კვარტალის შედეგების მიხედვით პირველი ადგილი დაიკავა. ეს ჩვენი სამმართველოს მეექვსე გამარჯვებაა.

ამ დღეებში „სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალურ სამმართველოში მოეწყო საღამო, სადაც გამარჯვებულ კოლექტივს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა.

რესპუბლიკური სამმართველოს კოლექტივის მიღწევებზე დამსწრეთ ესაუბრა სამმართველოს უფროსის მოადგილე ე. ავეტისოვი.

სპორტული ლატარიების მთავარი სამმართველოს საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ნ. სირჩინმა შეკრებილთ გააცნო ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება. მანვე სამმართველოს უფროსს გ. ზარდიაშვილს გადასცა გარდამავალი წითელი დროშა და მთავარი სამმართველოს საპატიო სიგელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ბალავაძემ გამარჯვებულ კოლექტივს გადასცა საქართველოს სპორტკომიტეტის საპატიო სიგელი.

კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის პირველი მაისის რაიკომის თავმჯდომარემ ქ. ურუშაძემ „სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველოს მუშაკებს გადასცა რაიკომის პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.

ამ წარმატების აღნიშვნა განსაკუთრებით გვახარებს დღეს, ფიზკულტურელის საკავშირო დღესასწაულზე, ვინაიდან სპორტული ლატარიის უპირველესი მიზანი სწორედ ბაზების ქსელის გაფართოება და ფიზკულტურული მოძრაობის წინსვლისთვის ხელის შეწყობაა.

ნ. ლონლაძე,
„სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.

# მოედნის ნათლობა

ბათუმი, (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ამ დღეებში აჭარის კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს და მანქანათსაშენი ქარხნის სპეციალურმა ბრიგადამ დაამთავრა სპორტული მოედნის მშენებლობა ზღვის სანაპიროზე.

ახალი მოედნის ფართობი 40×20 მეტრია. იგი განკუთვნილია ხელბურთისთვის, კალათბურთისთვის, ფრენბურთისა და ჩოგბურთისთვის. მაყურებელთა ტრიბუნები 500 კაცს იტევს.

აღსანიშნავია, რომ მოედნის მოწყობას მხოლოდ ოციოდე დღე დასჭირდა.

ახალ სპორტულ მოედანზე უკვე ჩატარდა პირველი საერთაშორისო შეხვედრა. ასპარეზობდნენ თბილისის „ბურევესტნიკისა“ და იუგოსლავიის „სლოვანის“ ქალთა გუნდები.

თამაში ქართველ ხელბურთელთა იერიშებით დაიწყო, მაგრამ პირველ წარმატებას სტუმრებმა მიაღწიეს. შემდეგ თბილისელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და ანგარიში გაათანაბრეს. პირველ ტაიმში ბევრჯერ იყო საყაიმო ანგარიში — 2:2, 3:3, 4:4, 5:5. ტაიმის მიწურულს უპირატესობა სტუმართა მხარეს გადავიდა და პირველი ნახევარი მათ მოიგეს კიდეც — 13:10.

შესვენების შემდეგ სტუმართა უპირატესობა უფრო საგრძნობი გახდა. იყო მომენტი, როცა ისინი 4 ბურთის სხვაობით იგებდნენ. შემდგომ თბილისელებმა თამაშში გარდატეხა შეიტანეს და ბოლოს დაწინაურდნენ კიდეც (19:18), მაგრამ ბოლო წამებში სტუმრებმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს. საბოლოოდ, ფრე — 19:19.

ო. მურვანიძე.

# გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან სპორტს, საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის აწმყოსა და მომავალს!

## აი, ვინ გვასახელა

## გასტუმრებული ვალი

### შვილს — ორი ოქროს მედალი, მამას — დიპლომი

მისი სტიქია მუდამ სისწრაფისთვის ბრძოლა იყო და არავის გაჰკვირვებია, როცა თბილისელი ყმაწვილი რობერტ აკოფოვი ავტომრბოლელი გახდა. ავტოსპორტი მას მამამ, თბილისის ნავთობის ბაზის მექანიკოსმა ი. აკოფოვმა შეაყვარა და, ვინაიდან შვილმა ყურად იღო მამის რჩევა, უფროსი აკოფოვი თითქოს ვალში იყო თავის პირმშოსთან.

ახლა მან ეს ვალი მთლიანად გაისტუმრა და ამაყობს კიდეც იმით, რომ შვილი სწორ გზაზე დააყენა.

რობერტ აკოფოვი დღეს 20 წლისაა, სწავლობს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და წარმატებით ასპარეზობს საკავშირო ჩემპიონატებში. იგი წლევანდლამდე სამჯერ იყო სსრ კავშირის ჩემპიონი კარტინგში და ორჯერ გაიმარჯვა ხალხთა სპარტაკიადაში.

ახლახან ლატვიის ქალაქ რეზეკნეში რ. აკოფოვმა ახალი დიდი გამარჯვება იზეიმა: საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონის ორი ოქროს მედალი მოიგო კარტინგში: ჯერ ყველას აჯობა 100 კბ სმ კლასის მანქანებით რბოლაში, მერე კი „175-ანებით" შეჯიბრებაშიც გაიმარჯვა. სსრ კავშირის დოსააფის საპატიო დიპლომი მიიღო ჩემპიონის მამამ ი. აკოფოვმაც. ჯილდო მას კარტინგის მომზადებისთვის გადაეცა.

## თბილისელთა ოქროსა და ბრინჯაოს მედლები

ნოგინსკი, 8 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.) როგორც მუდამ, სალიდერო რბოლის ოსტატთა გამოსვლამ ადგილობრივ ტრეკზე ველოსპორტის უამრავ გულშემატკივარს მოუყარა თავი. ნოგინსკის „სწრაფ" ტრეკზე არა ერთი საკავშირო რეკორდი დამხობილა. ბევრი ველოსიპედისტი თავის საუკეთესო მიღწევას სწორედ ამ სარბიელს უმადლის და, რა გასაკვირია, რომ იქ ჩვენი სპორტსმენებიც ხალისით გამოდიან.

საკავშირო ჩემპიონატის წინასწარმა სერიებმა გამოავლინა 8 უძლიერესი წყვილი, რომელთა შორის უდავო ფავორიტებად ითვლებოდნენ სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, მოსკოველი მ. მარკოვი (ლიდერი მ. ზაიცევი), აგრეთვე, თბილისელი არმიელები ვ. პოპოვი (ლიდერი — მოსკოველი ტრავკინი) და ო. პროკოპენკო (ლიდერი ი. კავსაძე).

ეს ტრიო დიდი ხანია „ურთიერთობას არკვევს" ერთმანეთში. საკავშირო შეჯიბრებებში თუ საერთაშორისო ტურნირებში ფავორიტთა ბრძოლა ხშირად რეკორდებით მთავრდება. ყველა დარწმუნებული იყო იმაში, რომ ადრე თუ გვიან მარკოვს თავისი ტიტულის დათმობა მოუხდებოდა. მაგრამ ვინ მიიღებდა გვირგვინს: უფრო გამოცდილი პროკოპენკო თუ დაუღალავი პოპოვი?

ამ შეკითხვას დღევანდელმა ფინალურმა ბრძოლამ (100 წრე, თითოეული — 500 მ) გასცა პასუხი. სპეციალისტები ერთში არ შემცდარან: მედლების სამივე კომპლექტი აღნიშნულმა ტრიომ გაინაწილა. ჩემპიონი კი ნამდვილად უძლიერესი გახდა — პოპოვი. მარკოვს და მის თანამეწყვილეს მეორე შედეგი აღმოაჩნდათ, ხოლო პროკოპენკო და კავსაძე ბრინჯაოს ჯილდოებს დასჯერდნენ.

## ჩვენი გოგონას „საიდუმლო"

პაპანაქებას სიცხის მიუხედავად, მაყურებლები მოთმინებით ისხდნენ და ჩემპიონის დაბადებას ელოდნენ. რატომაც არა, მოსწავლეთა XIII საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონის ვინაობა ყველას აინტერესებდა. მით უმეტეს, ტარდებოდა შეჯიბრება სპორტის ერთ-ერთ ულამაზეს სახეობაში — წყალში ხტომაში.

... ორმოცი ნორჩი ფერია 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს. ორმოცივეს ჰქონდა თავისი ამოცანა: ზოგი საპრიზო ადგილზე გასვლას ფიქრობდა, ზოგი — ჩემპიონობის მოპოვებას.

და აი, ალმა-ათის ცენტრალური სტადიონის წყალში ხტომის აუზში საქართველოს ჰიმნი გაისმა: ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა თბილისელმა სვეტლანა ნიკოლოტოვამ.

— სვეტლანა, თავდაპირველად რა გეგმები გქონდა? — ვკითხეთ შემდეგ ჩვენს ჩემპიონს.

— ოო, იცით, ამაზე არ მიფიქრია, მით უმეტეს, რომ ძალიან ძლიერი მეტოქეები მყავდა. მაგალითად, II ადგილზე გასული, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ირა კალინინა საკავშირო თასის გათამაშების ვერცხლის პრიზიორია. ძალიან ძლიერია ბელორუსიელი ოლგა სლასტნიკოვაც. დღემდე მათთვის არასოდეს მიჯობნია, მუდამ ერთი ნაბიჯი მრჩებოდა გადასადგმელი.

— მაშ, რაშია თქვენი წარმატების „საიდუმლო"?

— საიდუმლო? რა ვიცი, ძალიან ვცდილობდი, რომ ნახტომები კარგი გამომსვლოდა. თავდაპირველად არც ვღელავდი, თავისუფლად ვხტებოდი, ვფიქრობდი, სად მე და სად ისინი, ჩემი მეტოქეები-მეთქი. მაგრამ მეოთხე ნახტომის შემდეგ, როცა შევიტყვე, რომ შეჯიბრებას მე ჩავუდექი სათავეში, ძალიან ავღელდი. მერე რაც მოხდა, თქვენც კარგად იცით, — გვიპასუხა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ბ. პლევაკოს მოწაფემ.

დიახ, სვეტლანამ ყველა გვასახელა. ისარივით ეშვებოდა წყალში. თბილისელმა გოგონამ ამ შეჯიბრებაში ჩემპიონობაც მოიპოვა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის შედეგიც აჩვენა.

დასასრულს დავძენთ, რომ სვეტლანა ნიკოლოტოვა თბილისის 50-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეა.

ა. გურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ალმა-ათა.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ს. ნიკოლოტოვა.
ავტორის ფოტო.



---

საბჭოთა კავშირში სპორტულ მოძრაობაში ჩაბმულია 40 მილიონზე მეტი ადამიანი, რომლებიც სხვადასხვა სახეობაში მეცადინეობენ საწარმოების, ფაბრიკა-ქარხნების, სასწავლებლების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურულ კოლექტივებში.

საბჭოთა სპორტსმენთა განკარგულებაშია შესანიშნავი ბაზები. ესაა 3126 დიდი სტადიონი, 55596 სპორტული დარბაზი, 1179 საცურაო აუზი (596 დახურული), 125 ათასამდე სპორტული მოედანი და მინდორი, 1256 საციგურაო ბილიკი, 8681 სათხილამურო ბაზა, 10120 მინდორი შაიბიანი ჰოკეისთვის, 5010 — ბურთიანი ჰოკეისთვის, 12884 კარგად მოწყობილი ტირი.

წლეულს თითქმის 51,5 მილიონი ადამიანი შეუდგა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას. ესაა სულ სხვადასხვა ასაკისა (9-დან 60 წლამდე) და პროფესიის ხალხი. 2 მილიონზე მეტმა ფიზკულტურელმა უკვე მოიპოვა ამ კომპლექსის სამკერდე ნიშნები.

124699 საწარმოში და სასწავლებელში გამაჯანსაღებელ ტანვარჯიშში ჩაბმულია თითქმის 27 მილიონი ადამიანი.

საბჭოთა სპორტის საუკეთესო წარმომადგენლებმა 1974 წელს მონაწილეობა მიიღეს ოთხ მსოფლიო ჩემპიონატში — აკრობატთა, აფროსანთა, ჰოკეისტთა და მოჭადრაკეთა (ოლიმპიადა) შეჯიბრებებში, სადაც 26 ოქროს, 10 ვერცხლისა და 12 ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭეს.

აფროსნობაში, ჰოკეიში, ძალოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, სასტენდო სროლაში და ჭიდაობის ოთხ სახეობაში გამართულ ევროპის პირველობებზე საბჭოთა სპორტსმენები 52-ჯერ ავიდნენ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, 27-ჯერ კი II და III ადგილები ხვდათ.

---

საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში 9500-ზე მეტი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკია განლაგებული. გახსნილია 4858 მონადირისა და მეთევზის სახლი.

1974 წლის პირველ ექვს თვეში სპორტის სხვადასხვა სახეობაში მომზადდა 2854 სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, 165 სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. 21 სპორტსმენს მიენიჭა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

სსრ კავშირში ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობებია: მძლეოსნობა, რომელსაც 6 მილიონ 80 ათას 128 კაცი მისდევს, ფრენბურთი — 5281415, სათხილამურო სპორტი — 4171078, ფეხბურთი — 3741363, კალათბურთი — 3519402. 754 ათასზე მეტი კაცი მისდევს კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობას, სამბოს, ძიუდოს. დაახლოებით 650 ათასი ადამიანი გატაცებულია სპორტის ეროვნული სახეობებით.

## „მწვანე ჰოკეის" ფინიში

დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში. საპრიზო ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: „ვოლგა" (ულიანოვსკი), „დინამო" (ალმა-ათა), „ფილი" (მოსკოვი).

ნოვოკუიბიშევსკის „ნეფტიანიკმა" დატოვა უმაღლესი ლიგა — გაისად იგი I ლიგის ბინადარი იქნება. მის ადგილს ამ ლიგის საუკეთესო გუნდი დაიკავებს. რაც შეეხება ბოლოსწინა ადგილზე გასულ „ვიმპელს" (კალინინგრადი), იგი უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ორ მატჩში შეხვდება პირველი ლიგის კოლექტივთა შეჯიბრებაში II ადგილზე გასულს.

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია 17 წლის ვ. მიშურნოვი („ვოლგა") — 8 ბურთი. ალმაათელმა ა. იომკინმა ერთი ბურთით ნაკლები გაიტანა.

გათამაშების საბოლოო ცხრილი:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ვოლგა" | 14 | 10 | 3 | 1 | 33—7 | 23 |
| „დინამო" | 14 | 6 | 7 | 1 | 17—7 | 19 |
| „ფილი" | 14 | 6 | 7 | 1 | 18—10 | 19 |
| ასკ (სვერდ.) | 14 | 6 | 2 | 6 | 17—19 | 14 |
| „ურალსკი ტრუბნიკი" (პერვოურ.) | 14 | 4 | 4 | 6 | 13—20 | 12 |
| „ტორპედო" (სიზრანი) | 14 | 3 | 5 | 6 | 18—24 | 11 |
| „ვიმპელი" | 14 | 3 | 4 | 7 | 9—15 | 10 |
| „ნეფტიან." | 14 | 1 | 2 | 11 | 6—29 | 4 |



მიმდინარე წელი სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდისთვის სერიოზული გამოცდების წელია. ჯერ იყო და გამოცდის ჩაბარება მას აშშ-ს ნაკრებთან მოუხდა. ალბათ გახსოვთ, რომ ამერიკელთა ტურნემ სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქში ნაკრების მომზადებაში არსებული ხარვეზები გამოამზეურა. მწვრთნელებმა თვალნათლივ დაინახეს, რაზე უნდა გაემახვილებინათ მთავარი ყურადღება და საქმიანობა ამ გზით წარმართეს.

ამ ლაბორატორიულ სამუშაოთა შედეგი ბრწყინვალე გამოდგა. სსრ კავშირის ნაკრებმა შორეულ პუერტო-რიკოში მსოფლიო ჩემპიონის წოდება დაიმსახურა. დამთავრდა პირველობა და გუნდის წინაშე ახალი ამოცანები დაისახა. ამ ამოცანებს შორის ერთ-ერთი უმთავრესი და უახლოესია წარმატებით მონაწილეობა ი. გაგარინის სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში.

მფრინავი-კოსმონავტის სახელობის პრიზის გათამაშებას არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველად იგი ოთხი წლის წინათ ჩატარდა, მაგრამ იმთავითვე მოიხვეჭა ავტორიტეტი მსოფლიოს საკალათბურთო წრეებში. წლევანდელ, რიგით მეხუთე გათამაშებას, რომელიც 13 აგვისტოს დაიწყება, ეს-

## ბურთს მოსვენება არა აქვს

ტონეთის დედაქალაქი ტალინი უმასპინძლებს. ტურნირში მონაწილეობას მიიღებს 3 კოლექტივი სსრ კავშირიდან — მთავარი ნაკრები, ახალგაზრდული გუნდი და ესტონეთის ნაკრები. ტალინს ეწვევიან, აგრეთვე, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიისა და აშშ-ს კალათბურთელები. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ითამაშებს ყველა მსოფლიო ჩემპიონი, მათ შორის „ახალგამომცხვარი" სპორტის დამსახურებული ოსტატები — მოსკოველი ვ. მილოსერდოვი, კიეველი ა. სალნიკოვი და ლენინგრადელები ა. ბოლშაკოვი და ი. პავლოვი. მწვრთნელები ვ. კონდრაშინი და ს. ბაშკინი ნაკრებში ორ ახალ კანდიდატს გამოცდიან. ესენი არიან ლენინგრადელი ა. მაკეევი და მოსკოველი ნ. ფედორინოვი.

ი. გაგარინის სახელობის ტურნირში ძლიერ გუნდს გამოიყვანს კალათბურთის სამშობლო — აშშ. ამ ქვეყნის ასოციაციის გადაწყვეტილებით, სსრ კავშირში ითამაშებს სტუდენტთა ლიგის მეორე პრიზიორი, მერილენდის შტატის უნივერსიტეტის გუნდი, რომელსაც ამერიკაში მომავალი ოლიმპიური ნაკრების ბირთვად მიიჩნევენ.

როგორც ხედავთ, წლეულს გაზაფხულზე დაწყებული თავისებური მიკრომატჩი საბჭოთა და ამერიკელ კალათბურთელებს შორის გრძელდება. ი. გაგარინის სახელობის ტურნირით ეს საინტერესო დავა არ დასრულდება. ასპარეზობის შემდეგ საბჭოთა ნაკრები შორეულ გზას გაუყვება ამერიკის კონტინენტისკენ.

პირველად საბჭოთა გუნდი კოლუმბიაში შეჩერდება. იგი ეროვნებათა თასის გათამაშებაში ისევ აშშ-ს, იუგოსლავიისა და ბრაზილიის გუნდებთან იასპარეზებს. მერე კი დაიწყება ხანგრძლივი ტურნე ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში.

ც. ფცქიალაძე.

### [illegible]

#### ცხინვალი

„კოლმეურნის" სარაიონო პირველობაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფეხბურთელთა 8 გუნდი მონაწილეობდა. I ადგილზე გავიდა ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისის გუნდი. გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა ავნევის კოლმეურნეობის ნაკრები. III ადგილზეა თამარაშენის საბჭოთა მეურნეობის ხეთაგუროვის უბნის გუნდი.

ვ. მელქოევი.

#### ჩოხატაური

საინტერესოდ ჩატარდა „კოლმეურნის" სარაიონო პირველობა ლელობურთში 10 გუნდის მონაწილეობით. ჩემპიონის წოდება ხვდა 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის გუნდს. მომდევნო ადგილებზე არიან ფარცხმისა და გორაბერეჟოულის ლელობურთელები. 45 მოთამაშემ შეასრულა სპორტული თანრიგები.

დ. გურგენიძე.

## მძლეოსანთა სტარტები

ლაპენრანტა, 7 აგვისტო. ფინეთის სამხრეთში მდებარე ამ ქალაქში თავი გამოიჩინა მსოფლიო რეკორდსმენმა სიმაღლეზე ხტომაში დ. სტოუნზმა (აშშ), რომელმაც, წვიმიანი ამინდის მიუხედავად, 224 სანტიმეტრზე გადებული თამასა გადალახა.

მაღალ შედეგებს მიაღწიეს ბადროს მტყორცნელებმაც: გამარჯვებულმა პ. კაჰმამ (ფინეთი) 64,18 მეტრზე ტყორცნა ეს იარაღი, ხოლო ამერიკელმა ჯ. პაუელმა — 63,74 მეტრზე.

კოპენჰაგენი, 7 აგვისტო. პოლონელმა რ. სკოვრონეკმა, რომელიც „უნივერსიადა-73"-ის ჩემპიონი გახლავთ, საკმაოდ კარგი შედეგით გაიმარჯვა ათჭიდში — 7903 ქულა. მომავალ ევროპის ჩემპიონატში სპეციალისტებს სკოვრონეკი ერთ-ერთ ფავორიტად მიაჩნიათ.

ტამპერე, 7 აგვისტო. ახალგაზრდა ფინელმა ათლეტმა ა. აჰომ 85,56 მეტრზე ტყორცნა შუბი. მისმა თანამემამულე ა. კალიომიაკიმ ჭოკით 530 სმ სიმაღლე გადალახა.

ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი

## ჩემპიონატის ჩემპიონატი

7 აგვისტოს მოსკოვში შედგა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი — ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრი".

ტორპედოელებმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 6:0. ბურთები გაიტანეს ესკოვმა, დეგტიარიოვმა და ნიკონოვმა.

სპორტული ლოტო



სსრ კავშირის თასზე

# დღეს ფინალია

დღეს მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე, გაიმართება სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური მატჩი. ერთმანეთს ხვდებიან „დინამო" (კიევი) და „ზარია" (ვოროშილოვგრადი).

ფინალამდე „ზარიამ" დაამარცხა მინსკის „დინამო", ალმა-ათის „ქაირათი", მოსკოვის „სპარტაკი" და დონეცკის „შახტიორი", ხოლო კიეველებმა, რომლებიც გათამაშებაში მეოთხედფინალიდან ჩაებნენ, დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" და თბილისის „დინამო".

საინტერესოა, რომ ჩემპიონატში კიევის „დინამო" 1 ადგილზეა, ხოლო „ზარია" — ბოლოზე.

ფინალურ მატჩს ტელევიზიით ვნახავთ 19 საათიდან თბილისის დროით.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### თუ ბილეთებს წარმოადგენენ...

გფრ-ის ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის განათლების სამინისტრომ გამოაცხადა, რომ არ დასჯის იმ მოსწავლეებს, რომლებმაც ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დროს გაკვეთილები გააცდინეს, ოღონდ ერთი პირობით: მათ უნდა წარმოადგინონ იმ მატჩების ბილეთები, რომლებსაც ესწრებოდნენ.

# სტუმრები კმაყოფილი არიან

ულან-ბატორი, 7 აგვისტო. აქ ჩატარდა მონგოლეთისა და აშშ-ს ახალგაზრდული გუნდების შეხვედრა თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც სპორტის სფეროში კულტურული გაცვლა-გამოცვლის გეგმაში შედიოდა. აშშ-ს სპორტსმენებმა, რომლებიც პირველად გამოდიოდნენ მონგოლეთში, სამი შეხვედრა ჩაატარეს — მასპინძელთა პირველ და მეორე ახალგაზრდულ გუნდებთან და იუნიორთა ნაკრებთან. ორი პირველი მატჩი მონგოლი სპორტსმენების მნიშვნელოვანი უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა მათი გამარჯვებით. ანგარიში იყო 8:2 და 6:4. ბოლო შეხვედრაში ამერიკელმა მოჭიდავეებმა დაამარცხეს იუნიორთა გუნდი — 6:4.

აშშ-ს ნაკრების ხელმძღვანელმა ჯინ გიბენსმა საკდესის კორესპონდენტს უამბო იმ დიდი ყურადღების შესახებ, რასაც მონგოლეთში იჩენდნენ ამერიკელი სპორტსმენების მიმართ. „ჩვენ საშუალება გვქონდა გავცნობოდით მასპინძელ ქვეყანას, მის ღირსშესანიშნაობებს. რამდენიმე დღეში ბევრად მეტი რამ შევიტყვეთ ამ ქვეყნის შესახებ, ვიდრე მრავალი წლის მანძილზე გვსმენოდა. მონგოლეთში თავაზიანი, მხიარული ხალხი ცხოვრობს. ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ულან-ბატორმა, ამ ქალაქის ისტორიულმა ადგილებმა. ჩამოსვლამდე ძალიან გვაფიქრებდა კვების პრობლემა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ აქ მშვენიერ კერძებს ამზადებენ. განსაკუთრებით მოგვეწონა ხორცეულის კერძები და ეროვნული ჩაი. იმედი გვაქვს, რომ გაისად მონგოლეთის ნაკრები საპასუხო ვიზიტით გვეწვევა", — თქვა გიბენსმა.

საკდესი — ქვეყნის ფაზები





# „მომხიბლეს საბჭოთა სპორტსმენებმა"

იმ დროს, როცა სსრ კავშირის, იუგოსლავიისა და რუმინეთის რეგბისტები განაგრძობენ ბრძოლას გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის" პრიზზე პირველი საერთაშორისო ტურნირის უმაღლესი ჯილდოებისთვის, ორმა კოლექტივმა უკვე დაამთავრა შეჯიბრება. 7 აგვისტოს პრაღის გუნდმა, რომლის შემადგენლობაშიც ჩეხოსლოვაკიის ნაკრების 9 წევრი შედის, V-VI ადგილებისთვის გამართულ მატჩში დაამარცხა ვარშავის „სკრა" ანგარიშით 30:0 (24:0). 14 ქულა მოუტანა თავის გუნდს კაპიტანმა, 30 წლის ი. კოურეკმა. სხვათა შორის, იგი 17 წელია ჩეხოსლოვაკიის ნაკრებში გამოდის და ამ გუნდის კაპიტანიცაა.

— ჰო, დღეს მართლაც კარგ შთაბეჭდილებას ახდენენ ჩვენი ბიჭები, — თქვა ჩეხოსლოვაკიის რეგბის ფედერაციის პრეზიდენტმა ი. პაველმა, როცა ანგარიში უკვე 24:0 იყო, — მაგრამ საბჭოთა რეგბისტები კიდევ უფრო ძლიერად, უფრო საინტერესოდ თამაშობენ. მათ მომხიბლეს კორექტულობით, სიმაძაცით, ტექნიკით. საბჭოთა სპორტსმენებს დიდი მომავალი აქვთ.

პაველი საერთაშორისო რეგბის საერთაშორისო ფედერაციის (ფირა) აღმასკომის წევრია. ახლა ეს ორგანიზაცია 25 ქვეყნის ეროვნულ ფედერაციებს აერთიანებს.

— ფირა-ში მოუთმენლად ელიან საბჭოთა კავშირის ფედერაციის განცხადებას წევრად მიღების შესახებ, — უთხრა პაველმა საკდესის კორესპონდენტს. იგი უკვე მეორედაა საბჭოთა ქვეყანაში და გაოცებულია სპორტული მშენებლობის დიდი მასშტაბებით. ჩეხოსლოვაკიელი სტუმრის აზრით, ლუჟნიკის ბაზა ულამაზესი სპორტული კომპლექსია.

— მოსკოვს ყველაზე მეტი უფლება აქვს 1980 წლის ოლიმპიადის ჩატარებისა. მე, როგორც ძველ რეგბისტს, იმედი მაქვს, რომ, თუ სპორტული ფესტივალი საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში ჩატარდება, ასპარეზობის პროგრამაში ჩემ საყვარელ სახეობასაც დაეთმობა ადგილი.

7 აგვისტოს მეორე მატჩში რუმინეთის „გრივიცე როშიემ" დაამარცხა იუგოსლავიის „ნადი" — 10:0 (3:0). ახლა „გრივიცე როშიეს" ჩასატარებელი აქვს მატჩი მოსკოვის კლუბების ნაკრებთან. 8 აგვისტოს საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს იუგოსლავიის „ნადის" — 32:7 (29:4). სსრ კავშირის კლუბების ნაკრებს ჩასატარებელი აქვს ერთი მატჩი — მოსკოვის კლუბების ნაკრებთან.

ხუთმაჩათს საბჭოთა ნაკრებს 24 ქულა მოუტანა ლენინგრადელმა ნ. რუმიანცევმა. ახლა იგი 41 ქულით სათავეში უდგას ასპარეზობის ბომბარდირთა სიას.

— როგორც მახსოვს, რუმიანცევს ამდენი ქულა ერთ მატჩში გუნდისთვის ჯერ არ მიუცია, — თქვა სსრ კავშირის ნაკრებისა და ლენინგრადის „ბურევესტნიკის" უფროსმა მწვრთნელმა ვ. ვარაკინმა.

რუმიანცევი 27 წლისაა. იგი ინჟინერია და უკვე 12 წელია რეგბის თამაშობს. (საკდესი).

### დაბრუნდება დიდი?

ბრაზილიაში ეჭვი არავის ეპარება, რომ ამ ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელს მ. ზაგალოს თავისი პოსტის დატოვება მოუხდება.

ჟურნალისტებს მიაჩნიათ, რომ ნაკრების მწვრთნელად დანიშნავენ წარსულში ცნობილ ფეხბურთელ დიდის, რომელიც ამჟამად თურქეთშია — „ფენერბახჩეს" წვრთნის.

### სუპერთასის ორი მატჩი

გამოცხადდა, რომ 17 სექტემბერს და 1 ოქტომბერს გაიმართება უეფა-ს სუპერთასის ორი მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელ „ბაიერნსა" (გფრ) და თასების მფლობელთა თასის მფლობელ „მაგდებურგს" (გდრ) შორის.

# შემოქმედებითს ძიებაში

„განთიადის" ცენტრალური საბჭოს საკავშირო კონკურსს საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში, რომელიც შარშან იყო გამოცხადებული, ბევრი გამოჩენილი კომპოზიტორი გამოეხმაურა. ჟიურიმ ცნობილი ეტიუდისტის გ. კალანდაძისა და მსაჯ-ორგანიზატორის თ. ალხანიშვილის შემადგენლობით 80 ავტორის 100-მდე ეტიუდი განიხილა.

მარტში კონკურსის შედეგები დაისტამბა საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტისა და ჭადრაკის რესპუბლიკური ფედერაციის საგანგებო ბიულეტენის — „ტურნირ ზა ტურნიროშ" — მე-12 ნომერში. კონკურსის შედეგების შემოწმების ორთვიანი ვადაც გავიდა.

გთავაზობთ საბოლოო შედეგებს:

I-II პრიზები გაიყვეს ოსტატებმა ვ. დოლგოვისა (კრასნოდარის მხარე) და ალ. კუზნეცოვის (მოსკოვი) ერთობლივმა ეტიუდმა და დ. გურგენიძის (თბილისი) ნამუშევარმა.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტის დ. გურგენიძის ეტიუდის ძირითადი იდეაა შავი ეტლის ტრავალეჯერადი შეწირვა, რასაც, კონკურსის მსაჯების აზრით, ფანტასტიკური ხასიათი აქვს.

დ. გურგენიძე



თეთრები იგებენ

ამოხსნა: 1. ეh7+ მფg8 2. g7 ეa5+! 3. მფb4! ეa4+ 4. მფb3 ეa3+ 5. მფb2 ეa2+ 6. მფc1! ე:c2+ 7. მფd1 ეc1+ 8. მფd2 ეc2 9. მფd3 ეc3 10. მფd4 ეc4+ 11. მფd5 ეc5+ 12. მფ:d6 ეc6+ 13. მფd5 ეc5+ 14. მფd4 ეc4+ 15. მფd3 ეc3+ 16. მფd2 ეc2+ 17. მფe1! ე:e2+ 18. მფf1 ეe1+ 19. მფf2 ეe2+ 20. მფf3 ეe3+ 21. მფg4! ეe4+ 22. მფf5 ეe5+ 23. მფ:f6 ეe6+ 24. მფf5 ეe5+ 25. მფ:e5 ეe8+ 26. მფf5 მფ:h7 27. მფf6 მფg8 28. h7+ მფ:h7 29. მფ:f7 მოგებით.

III პრიზი მიიღეს ოსტატმა ლ. კაცნელსონმა (ლენინგრადი) და ა. კოტოვმა (ლენინგრადის ოლქი) ერთობლივი ეტიუდისთვის. IV პრიზი ხვდა ოსტატ ლ. მიტროფანოვს (ლენინგრადი).

ცნობილი კომპოზიტორის რ. თავარიანისა (თბილისი) და ჯ. მაწონაშვილის (ქუთაისი) ერთობლივმა ნამუშევარმა V პრიზი დაიმსახურა. ეტიუდში გვხიბლავს კუს და ეტლის დუელი.

რ. თავარიანი
ჯ. მაწონაშვილი



თეთრები იგებენ

ამოხსნა: 1. კc4 ეc3+ 2. მფb4 ეe3 3. b7 ეe8 4. კe6+ მფf3! (თუ 4. ... მფg5, მაშინ 5. კc8 ეe1 6. კe6 ეe4+ 7. მფc3 ეe3+ 8. მფd2 მოგებით) 5. კc8 ეe1 6. კe6 ეe4+ 7. მფc5 ეe5+ 8. კd5+ მოგებით.

პირველი საპატიო შეფასება დაიმსახურეს ფ. აიტოვმა, ე. ნოგოვიცინმა (ორივე — იჟევსკი), მეორე — ალ. კუზნეცოვმა და ა. მოტრომ (ოდესა). პირველი საქები შეფასება მიიღო ნ. ერემაძემ, მეორე — ვ. გოგბერაშვილმა (ორივე — თბილისი).

დაჯილდოებული ეტიუდები, მსაჯების აზრით, ხელს შეუწყობენ საეტიუდო შემოქმედების შემდგომ წინსვლას.

თ. ნინოშვილი.

ობიექტივმა ასოფლიო

### ბოლო კადრი იყო...

ამ ორ ფოტოსურათს საერთო შინაარსი აკავშირებს: მიუხედავად იმისა, რომ მათზე მკვეთრად განსხვავებული სახეობებისა და ორი საპირისპირო სქესის წარმომადგენლები არიან აღბეჭდილი, ორივე სურათი სპორტსმენთა ხიფათზე მოგვითხრობს.

სურათზე (იგი ინგლისშია გადაღებული) თქვენ ხედავთ ცუკეი ნეველ ბაზს, რომელიც სტიპლ-ჩეზში ერთ-ერთი შეჯიბრების დროს თავისი ცხენიდან ინისფოილიდან ჩამოვარდა. მხედარი და ცხენი არ დაშავებულან.

სურათზე აღბეჭდილია ავსტრიელი ტროდ ინტმალერი, რომელიც საწყლოსნო სლალომის ოსტატთა ჟენევის მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობის დროს მოულოდნელად ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. საბედნიეროდ, არც ინტმალერი დაშავებულა.

ასოშიეიტედ პრესის ფოტოები.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. 11 აგვისტო. საქართველოს ჩემპიონატი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სულორი" (ვანი). დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04708